

თავი 23 ფეხსაცმლის წარმოება

ჯონათანი მარმარილოს დიდებულ ქანდაკებებსა და სვეტებს შიშითა და რიდით შესცქეროდა: ალბათ ქვეყნის სადაგეებს აქედან მართავენ. ამ შენობის აგება უთუოდ ძვირი დაუჯდებოდათ! – თავისთვის გაიფიქრა მან.

ერთი ბრინჯაოს კარი ღია იყო და შიგნით, დარბაზში, უამრავი ხალხი იყო თავმოყრილი. ჯონათანი შეუმჩნევლად შევიდა დარბაზში და უკანა მხარეს დადგა. ცენტრში შემადგენულ ადგილას ტრიბუნა იდგა და გარშემო ახმაურებული ხალხის ბრბო შემოხვეოდა. ტრიბუნასთან გამორჩეული გარეგნობის მამაკაცი იდგა. მას მდიდრული კოსტიუმი ეცვა და სქელი სიგარიდან კვამლს რგოლებად უშვებდა. ხელით, რომლითაც სიგარა ეკავა, მან დარბაზში მყოფ ერთ-ერთ კაცზე მიუთითა.

ჯონათანი უფრო ახლოს მივიდა. კაცი, რომელსაც ხელში კალამი და ბლოკნოტი ჰქონდა მომარჯვებული, სხვებზე უფრო ხმამაღლა ყვიროდა:

– თქვენო უდიდებულესობავ, ღრმად პატივცემულო, ლორდო პონცი! მართალია, რომ ახლახან მოაწერეთ ხელი კანონს, რომლის მიხედვითაც მეწადეებს თანხას გადაუხდიან, რათა მათ ფეხსაცმლის წარმოება შეწყვიტონ?

– დიახ, ეს ნამდვილად ასეა, – მედიდურად განაცხადა ლორდმა პონციმ. ისე ნელა ლაპარაკობდა, თითქოს ეს-ესაა ღრმა ძილისგან გამოფხიზლებულიყო.

– ეს ხომ უპრეცედენტო შემთხვევაა, ასე არ არის? – ისევ იკითხა კაცმა და თან ფურცლებში სულმოუთქმელად რაღაცას წერდა.

ლორდმა მედიდურად დაიქნია თავი და განაცხადა:

– დიახ, უპრეცედენტო. . .

მან სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო. ამჯერად, წინა რიგებში მდგომმა ქალბატონმა შეაწყვეტინა:

– კორუმპოს ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, რომ მეწადეებს წარმოების შესახებლად ფულს უხდიან?

– დიახ, ეს ნამდვილად ასეა! – თქვა პონციმ.

შემდეგ ვიღაცამ უკანა რიგებიდან წამოიყვირა:

– თქვენი აზრით, ეს ყველა სახის ფეხსაცმელზე გამოიწვევს ფასების ზრდას?

– შეგიძლიათ შეკითხვა გაიმეოროთ?

– გაიზრდება თუ არა ყოველივე ამის შედეგად ფეხსაცმლის ფასები? – წამოიყვირა სხვამ.

– შედეგად მეწადეების შემოსავალი უფრო გაიზრდება, – უპასუხა თითქოსდა მთვლემარე ლორდმა, – ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ მეწადეებს ცხოვრების ნორმალური პირობები შევუქმნათ.

ჯონათანს მაშინვე დეივი და დედამისი გაახსენდა და გაიფიქრა, რომ, იმ დღიდან მოყოლებული, მათ ფეხსაცმლის ყიდვა გაუჭირდებოდათ.

ბრბოში დაკარგულმა, მუხლებზე დაჩოქილმა რეპორტიორმა ხმამაღლა იკითხა:

– ხომ არ შეგიძლიათ გაგვიზიაროთ მომავალი წლის გეგმები?

– რაო, რა მკითხეთ? – ჩაიბურღლუნა პონციმ.

– რა იქნება თქვენი გეგმა მომავალი წლისთვის? – გაიმეორა რეპორტიორმა.

– ააა, სამომავლო გეგმები! – თქვა პონციმ და სიგარა კიდევ ერთხელ ძლიერად მოქაჩა, – მინდა ვისარგებლო ამ პრესკონფერენციით და განვაცხადო, რომ მომავალი წლისთვის ვგეგმავთ კორუმპოს კუნძულის ყველა მეწარმეს გადაგუხადოთ იმისთვის, რომ წარმოება შეწყვიტონ.

– ყველას? – აღმოხდა ხალხს ერთხმად – ეს რა ხუმრობაა? ეს ხომ სოლიდურ თანხებთან არის დაკავშირებული? თქვენი აზრით, ეს გეგმა გაამართლებს?

– გაამართლებს? – გაიმეორა ლორდმა პონციმ.

– ხალხი ნამდვილად შეწყვეტს წარმოებას?

– რა თქმა უნდა! – თქვა ლორდმა და მთქნარებისგან თავი ვეღარ შეიკავა, – ამ პროექტს წლების განმავლობაში ვცდიდით ერთ-ერთ სააგენტოში. მისი ამუშავების შემდეგ მათ საერთოდ არაფერი გამოუშვიათ, – ამაყად განაცხადა მან.

ამ დროს ლორდ პონცის ზურგს უკან მდგომმა პირმა წინ წამოიწია, ტრიბუნას მიუახლოვდა და კონფერენციის დასასრული აუწყა. რეპორტიორების ჯგუფი თანდათან დაიშალა.

გაოცებული ჯონათანი თვალებს ვერ უჯერებდა. მან უეცრად შეამჩნია, რომ პონცი მხრებში მოიხარა – თითქოს ზემოდან ვიღაცამ ძაფი გადაჭრა, რომლითაც აქამდე ამ მარიონეტს მართავდა. პონცი სცენიდან კვამლით სავსე უკანა ოთახში გააცილეს და დარბაზშიც შუქები ნელ-ნელა ჩაქრა.